# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

15 თებერვალი ხუთშაბათი 2024 წელი №7 (9321)

ფასი 40 თეთრი


## ინებოს ღმერთმა, თქვენი მოღვაწეობა იყოს მშვიდობის, კეთილდღეობისა და შემდგომი წარმატებების მომტანი საქართველოსათვის



„ბატონო ირაკლი, გულითადად გილოცავთ საქართველოს პრემიერ-მინისტრად დანიშვნას.

კარგად მოგეხსენებათ, ეს მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაა და, ამასთან, დიდი პასუხისმგებლობაც, მით უმეტეს ჩვენს რთულ დროს.

ინებოს ღმერთმა, თქვენი მოღვაწეობა იყოს მშვიდობის, კეთილდღეობისა და შემდგომი წარმატებების მომტანი საქართველოსთვის.

გისურვებთ ღვთის მფარველობასა და შეწევნას ჩვენი ერისა და ქვეყნის სამსახურად"!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.

## დასაფინანსებელი პროექტების ფონდიდან საკონსულტაციო შეხვედრები დაიწყო



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრები დაიწყო.

დაბა ახალდაბაში და სოფელ ყვიბისში გამართულ შეხვედრებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. მათ ახალდაბაში და ყვიბისში მაცხოვრებლებთან ერთად სოფლებში არსებული საჭიროებების მოგვარებაზე და პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ძირითად პრიორიტეტებზე იმსჯელეს.

აღსანიშნავია, რომ 2024 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით", საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 436 000 ლარი გამოეყო, რასაც ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებული 872 000 ლარი დაემატება. თითოეულმა სოფელმა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტის განსახორციელებლად თანხა მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით მიიღო.

## ცხადდება კონკურსი

**„საქართველოს მწვანეთა მოძრაობა-დედამიწის მეგობრები - საქართველო" აცხადებს კონკურსს „სუფთა რეგიონი 2023".**

კონკურსის შედეგად პრიორიტეტული გახდა ნარჩენების მართვა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ნარჩენების მართვის კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, გარემოს მიმართ სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირებას და მყარი ნარჩენების მართვის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრებას.

საქართველოში კონკურსი „სუფთა რეგიონი" პირველად 2015 წელს ჩატარდა პროექტი „დავასუფთაოთ საქართველოს" ფარგლებში და თავიდან მხოლოდ 4 ნომინაციას მოიცავდა. საზოგადოების აქტიურობის შედეგად გაიზარდა ნომინაციების რიცხვიც.

**კონკურსის მიზანია გამარჯვებულის გამოვლენა ქვეყნის მასშტაბით შემდეგ ნომინაციებში:**

- **„სუფთა რეგიონი"**
- **„სუფთა მუნიციპალიტეტი"**
- **„სუფთა ქალაქი"**
- **„სუფთა სოფელი"**
- **„სუფთა ქუჩა"**
- **„ლამაზი ეზო"**
- **„ლამაზი აივანი"**
- **„ყველაზე სუფთა საწარმოს ეზო"**
- **სუფთა ლურჯი ნაკადული.**

კონკურსში მონაწილე რეგიონების, ქალაქების, მუნიციპალიტეტების, სოფლებისა და მოსახლეობის წარმომადგენლებმა საკონკურსო პერიოდში (2024 წლის 22 მარტამდე) უნდა გააგზავნონ ფოტო და ვიდეო მასალები მითითებულ ელ. ფოსტაზე და ფეისბუქის მისამართზე: info@greens.ge, nino.chkhobadze@gmail.com https://www.facebook.com/profile.php?id=100064330976087

## წმინდა კეთილმსახური მეფე დავით აღმაშენებელი



8 თებერვალს საქართველოს წმინდა მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესია იდღესასწაულეს ხსენება წმინდისა კეთილმსახურისა დავით მეოთხისა, მეფისა ყოვლისა საქართველოისა, აღმაშენებლად წოდებულისა.

...დავით მეფე – ღვთის მოშიში, განსწავლული, ბრძნადმეტყველი, სამართლიანი მსაჯული, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა...

...წმინდა დავით აღმაშენებელმა მეფობისას თავისი გონიერი მზერა მიაპყრო ეკლესიას, მან მოიწვია საეკლესიო კრება, მის ძეგლისწერაში აღნიშნულია, რომ მართლმადიდებლობას ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

კეთილმსახურმა მეფე დავით აღმაშენებელმა საქართველოს გაერთიანება დაასრულა დიდგორთან ომის მოგების, თბილისის აღების და დმანისის შემოერთების შემდეგ.

თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობა გელათის მონასტრის მშენებლობით დაასრულა. მან დიდძალი განძი და ომებში მოპოვებული ნადავლი მონასტერს შესწირა. საზღვარგარეთ ბევრ სავანეს თავისი მზრუნველობის ხელი დაატყო. წყალობითა და სიუხვით სავსე მეფე ხშირად ნახულობდა ავადმყოფებს.

მწიგნობარი მეფე დავითი თავისუფალ დროს საღმრთო წერილის და სხვა წიგნების კითხვას ანდომებდა.

დავით მეფე სწორუპოვარი ჰიმნოგრაფიც იყო, მისი გალობანი სინანულისანი თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს.

8 თებერვალს აღინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების დღე. ცნობილმა მეცნიერებმა და სტუდენტებმა პატივი მიაგეს დედა უნივერსიტეტის დაარსებასთან დაკავშირებით დიდი მამულიშვილების ხსოვნას. ისაუბრეს უნივერსიტეტის სამომავლო გეგმებზე.

## ძლიერმა ქარმა 4 საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა

**6 თებერვალს,** ძლიერმა ქარმა, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში, 4 საცხოვრებელ სახლს სახურავი გადახადა.

არსებულ ვითარებას ადგილზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი **ოთარ არბოლიშვილი,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** დაბა ახალდაბის დეპუტატი **ზურაბ ბლიაძე** და მერის წარმომადგენელი **ავთანდილ ცერცვაძე** გაეცნენ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის **ოთარ არბოლიშვილის** თქმით, მერიის შესაბამისი სამსახური მიყენებულ ზარალს ითვლის.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ დაზარალებულ ოჯახს ბინა უკვე უქირავა. რაც შეეხება დაზიანებული სახურავების გადახურვას, შესაბამისი სამსახურების ზარალის დათვლის შემდგომ დაიწყება რეაბილიტაციის პროცესი, - განაცხადა **ოთარ არბოლიშვილმა.**



## ვაჟა აზარაშვილის ხსოვნას

## გარდაიცვალა დიდი მაესტრო



87 წლის ასაკში ქართველი მუსიკოსი, კომპოზიტორი და პედაგოგი ვაჟა აზარაშვილი გარდაიცვალა.

ვაჟა აზარაშვილმა 1961 წელს დაამთავრა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

1961 წლიდან, შემოქმედებითი მოღვაწეობის პარალელურად, ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობასაც. 1971 წლიდან იყო ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, პროფესორი (1988); 1994 წელს გახდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელი.

მისი შემოქმედება ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა: სიმფონიური, კამერულ-ინსტრუმენტალური, მიუზიკლი და საესტრადო; ძირითადი მიმართულება იყო ინსტრუმენტული და საესტრადო მუსიკა.

ავტორია: სიმფონია (1966, სამ ნაწილად), ორი სავიოლინო კონცერტი (სამ ნაწილად, 1967 I, 1972 II), კონცერტი ვიოლონჩელოსათვის (1969, ერთ ნაწილად), კონცერტი ალტისა და კამერული ორკესტრისათვის (1973), ორი ოპერეტა, რომლებიც დაიდგა თბილისის „მუსკომედიის" სცენაზე (1969 I, 1972 II), კონცერტინო კვარტეტისათვის (1963), ვოკალურ-სიმფონიური პოემა (1961), ორი პიესა სიმებიანი ორკესტრისათვის (1964), სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (1961, ოთხ ნაწილად), ინსტრუმენტული, კამერული და საესტრადო ნაწარმოებები, მუსიკა სპექტაკლებისა და სატელევიზიო ფილმებისთვის.

ვაჟა აზარაშვილმა ბევრი სიმღერა მიუძღვნა მშობლიურ თბილისს: „თბილისური ლირიკული", „სიმღერა თბილისზე", „სიმღერა მეტეხზე", პოპულარულია მისი სიმღერები: „მუსიკა", „დღეები მიდიან", „პატარა გოგო", „მზე ჩემი მეგობარია", „ისევ წვიმს", „სიმღერაა მთელი ჩემი ქონება", „დინამო, დინამო" და სხვ. მიღებული ქონდა საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემია (1982).

**ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ცნობილი ქართველი მუსიკოსის, კომპოზიტორის, პედაგოგის და ბორჯომის საპატიო მოქალაქის ვაჟა აზარაშვილის გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას ვუცხადებთ ოჯახის წევრებს, მეგობრებს და მთელ საქართველოს.**

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია.**

საღღეისო თემაზე

# ფრთხილი და ჭკვიანური მოქმედება მოგვეთხოვება!

**საქართველოში პოლიტიკური პროცესი დღითიდღე სულ აქტიური ხდება. როგორც საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, პოლიტოლოგი ირაკლი გოგავა აცხადებს „საქართველოს პოლიტიკურ ველზე არსებულ მდგომარეობას მთლად ქაოსს თუ არ დავარქმევთ, არც ისე შორსაა ქაოსისაგან. ოპოზიცია გაჩანაგებულია და მისი რეიტინგი 12 პროცენტს არ აღემატება, მასთან შედარებით „ქართული ოცნება“ კარგად გამოიყურება, თუმცა გარკვეული სტაგნაციის ნიშნები სახელისუფლებო პარტიასაც ეტყობა და აქედან გამომდინარე, განახლება-გაჯანსაღება მმართველ პარტიასაც ესაჭიროება და მთლიანად ქართულ პოლიტიკასაც.**

**ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ პარტიის საპატიო თავმჯდომარის პოსტზე დაბრუნებამ დადებითი შედეგი უნდა გამოიღოს.**

ცნობილი პოლიტიკოსები ხაზგასმით აცხადებენ, 2024 წელი მსოფლიოსათვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. დიდი ცვლილებების ხანაში გვიწევს ცხოვრება და მალე ალბათ, მსოფლიოს ამერიკის შეერთებული შტატების სახით - ერთადერთი ჰეგემონი აღარ ეყოლება, რადგან სერიოზულად მოძლიერდა ჩინეთი, სამხრეთ კორეა, იაპონია, ინდოეთი, ევროკავშირი. ამ ფონზე ჩვენს პატარა ქვეყანას - საქართველოს ჩრდილში დგომა აღარ გამოუვა და ამიტომ მიიღო **ბიძინა ივანიშვილმა** პოლიტიკაში კვლავ დაბრუნების გადაწყვეტილება.

მსოფლიოში გეოპოლიტიკური ცვლილებების ფონზე არსებობს შანსი, რომ ამ გლობალურ პროცესში პატარა საქართველომ რაიმე სასიკეთო ეკონომიკური პროექტების განხორციელებისათვის პრინციპულად უნდა იბრძოლოს. ასეთ ვითარებაში ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებას პოლიტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნება“ საპარლამენტო უმრავლესობას მოიპოვებს და ასევე მოსალოდნელია საპარლამენტო უმრავლესობამ საკონსტიტუციო ცვლილებებიც განახორციელოს.

როგორც ახლახანს „ქართული ოცნების“ VIII ყრილობაზე გაჟღერდა, საპარლამენტო არჩევნებამდე „ქართული ოცნება“ ახალი სამთავრობო პროგრამით იმუშავებს, ხოლო არჩევნების შემდეგ ქვეყნის განვითარების სამოქმედო პროგრამას შეიმუშავებს. **ბიძინა ივანიშვილმა** თავის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა **ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ირაკლი ღარიბაშვილმა კი თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, - ქვეყანა გასაერთიანებლად უნდა მოემზადოს.**

სხვათაშორის რუსეთის პოლიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ქვეყნის პერიმეტრზე ყველა ტერიტორიული კონფლიქტი მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს. რუსეთის დღევანდელი პოლიტიკურ ფონი სასურველი არაა. ქვეყანას მთელ პერიმეტრზე პარტნიორები და მოკავშირეები უფრო სჭირდება, ვიდრე განაწყენებული და მტრული სახელმწიფოები. აქედან გამომდინარე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის საფუძვლიანად უნდა მოვემზადოთ.

ცოტა ხნის წინათ საქართველოში კვლევები ჩაატარა **„კარგეგის ცენტრმა“,** რომელმაც მოსახლეობას დაუსვა კითხვა: - **თუ ასარჩევად გექნებათ საქმე, ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება გირჩევნიათ, თუ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა? გამოკითხულთა 78 პროცენტმა ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას დაუჭირა მხარი.**

სხვათაშორის პრემიერ ღარიბაშვილმა აფხაზებს მიმართა და განაცხადა: **საქართველოს გაერთიანების შემთხვევაში, აფხაზეთის განვითარებისათვის პირველ სამ წელიწადში 10 მილიარდ დოლარს დავხარჯავთ, მეორე მოქმედება კიდევ მეტად წარმატებული იქნებაო.**

ამ პრობლემის დადებითად გადაწყვეტაში ბიძინა ივანიშვილის როლი და წვლილი კიდევ უფრო მეტი იქნება, მიუხედავად იმისა, რომ სანქციების ქვეშ იმყოფება. ისიც კარგად გახსოვთ, რომ შვეიცარიის ბანკში საგრძნობლად დიდი თანხა დაკარგა, მაგრამ უკან არ დაიხია და ფულის გამო მეორე ფრონტი არ გახსნა რუსეთთან.

ქართველებს ბიძინა ივანიშვილის დიდი იმედი აქვთ და სწამთ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კუთხით სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს. ცნობილი პოლიტიკოსები იმასაც ამბობენ, რომ თუ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი დაიძვრება ადგილიდან, ბიძინა ივანიშვილს პარტიის საპატიო თავმჯდომარის სტატუსზე მაღალი თანამდებობა დაჭირდება და შესაძლოა საქართველოს პრეზიდენტად ვიხილოთო.

როგორც პოლიტიკოსები ამბობენ, მოსალოდნელია, ბიძინამ „ქართული ოცნების“ გუნდის განახლებაზე იზრუნოს, რადგან ხელისუფლებაში ერთი და იგივე სახეების ყურება საზოგადოებისათვის მოსაბეზრებელია. მმართველ გუნდს ნამდვილად ესაჭიროება წმენდა.

და ბოლოს, კარგად ვხედავთ, რომ საქართველოში მშვიდობის პრობლემა რომ იტყვიან, ხელისუფლებას კბილებით უკავია. რა იქნება ახლო მომავალში, არავინ იცის. ასეთი რისკების პირობებში ქვეყანას სიფხიზლე მართებს. დიპლომატიური ნაბიჯები და მეზობლებთან გონივრული დიალოგი იქნება გადამწყვეტი, რათა არ ჩაგვითრიონ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაჩაღებულ ომებში.

**ფრთხილი და ჭკვიანური მოქმედება გვმართებს.**

**ვალერიან ლომიძე**




## გაუმაძღარი ლორები ფარმაცევტულ კომპანიებს შეესივნენ!

### რვა ფარმაცევტული კომპანიების მიმართ, მოკვლევა კიდევ ერთ საქმეზე დაიწყო

**კომპანიები მედიკამენტების რეალიზაციას იმპორტის ფასთან შედარებით 1000%, 2000% და 3000%-იანი ფასნამატით ახდენდნენ.**

**საქმე ეხება სამინისტროს მიერ, გასული წლის დეკემბერში გასაჯაროებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, ფარმაცევტული კომპანიები, მედიკამენტების რეალიზაციას, იმპორტის ფასთან შედარებით, 1000%, 2000% და 3000%-იანი ფასნამატით ახდენდნენ.**

კონკურენციის სააგენტო, დომინანტური მდგომარეობის შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტს, 8 ფარმაცევტული კომპანიის მიმართ სწავლობს. სააგენტო დაადგენს, ჰქონდა თუ არა ადგილი, კომპანიების მხრიდან არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების ფიქსირებას.

აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სამინისტრომ, აღნიშნულ მედიკამენტებზე რეფერენტული ფასწარმოქმნის მექანიზმი უკვე გაავრცელა, რის შემდეგადაც წამლების ფასი შემცირდა.

**შეგახსენებთ, რომ კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ, ჯანდაცვის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, კიდევ ერთი საქმის მოკვლევა, დეკემბრის ბოლოს დაასრულა. მოკვლევის შედეგად დაადასტურა, რომ ფარმაცევტული კომპანიების მხრიდან, ადგილი ჰქონდა შეთანხმებულ ქმედებასა და კონკურენციის კანონმდებლობის მძიმე ფორმის დარღვევას. კერძოდ, „პსპ ფარმამ“, „ავერსმა“ „ფარმადეპომ“ „ჯიპისიმ“ და „მერმისმა“ ონკოლოგიურ მედიკამენტებზე ერთი თეთრის სიზუსტით, იდენტური ფასები განსაზღვრეს. კონკურენციის სააგენტომ, სამართალდამრღვევი ფარმაცევტული კომპანიები 52 797 934 ლარით დააჯარიმა.**

## დამსახურებული მეტყევე, რომელიც დავიწყებას არ იმსახურებს!

# ბორჯომის ხეობის ბუნების ერთგული გუშაგი

**იმ მეტყევეებს** შორის, რომლებსაც სხვადასხვა ეპოქაში უმოღვაწიათ ბორჯომში, გამორჩეული ადგილი უკავია მეტყევე-ინჟინერს **დავით ყარსელიშვილს.** მის სახელზე გაცემული ზოგიერთ საბუთში იგი მოხსენიებულია ქარსელიშვილად, ზოგში ყარსელიშვილად, ზოგშიც კარსელოვად. ჩვენი აზრით მისი წინაპრები ალბათ სხვა გვარს ატარებდნენ და წარმომავლობით უნდა ყოფილიყვნენ ყარსიდან და საქართველოში ჩამოსახლების შემდეგ მიიღეს ეს გვარი.

დავით ვასილის ძე ყარსელიშვილი დაიბადა 1874 წელს ქ.ახალციხეში, ღარიბი მშობლების ოჯახში. მას სწავლა დაუწყია ახალციხის სამოქალაქო სასწავლებელში და ექსტერნად მიუღია საეროსაშუალო განათლება.

1891 წელს დავითმა მუშაობა დაიწყო ახალციხის სატყეოში და მასთან არსებულ სატყეო სასწავლებელში საქმის მწარმოებლად. სამსახურის პარალელურად, სადაც მცირე ხელფასი ჰქონდა, სწავლა დაიწყო სატყეო სასწავლებელში. ეს ხდებოდა სახელმწიფოს ხარჯზე, რის გამოც დავითი ვალდებული იყო სამი წელი ემსახურა სახელმწიფო ტყეებში. 1898 წლის იანვარში იგი გაიწვიეს ჯერ დუშეთის, შემდეგ კი ლორეს სატყეოში ტყის გამგის თანაშემწედ. ერთი წლის შემდეგ იგი გადმოიყვანეს ბორჯომის მამულში, ტყის გამგის თანამდებობაზე, სადაც იმსახურა 1910 წლამდე (ჯერ წაღვერის, შემდეგ ბაკურიანის სატყეოებში).

1910-18 წლებში იმავე თანამდებობაზე გადაიყვანეს ჯერ აზერბაიჯანში, შემდეგ დაღესტანში და სომხეთში, სადაც დიდი წვლილი შეიტანა ტყეების აღდგენისა და მოვლა-პატრონობის საქმეში.

1918 წელს ყარსელიშვილი დააბრუნეს საქართველოში და დანიშნეს ტყეების რევიზორად. შემდეგ მან იმსახურა ისეთ საპაუხისმგებლო თანამდებობებზე, როგორებიცაა: საქართველოს საკურორტო ტყეების მთავარ ხელმძღვანელად, ბათუმის ოლქის ტყეების გამგედ, სადაც მას ჩააბარეს გაუბედურებული ტყეები. იქ მან შექმნა სატყეო მეურნეობა. შემდეგ დანიშნეს აღმოსავლეთ საქართველოს ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების მომწყობად.

საქართველოს ტყეების მოვლა-პატრონობის საქმეში გაწეული უზარმაზარი ღვაწლისთვის მან მოიპოვა უდიდესი ავტორიტეტი და სიყვარული.

1935 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ დოკუმენტში დიდი მთავრის ბორჯომის მამულის ცნობილი მეტყევეები ვინოგრადოვ-ნიკიტინი და ივანე როშჩინი წარდგნენ: - **„დავით ვასილის ძე ყარსელიშვილი მუშაობდა მეტყევედ წაღვერისა და ბაკურიანის სატყეო მეურნეობებში 1897 წლიდან 1910 წლის ჩათვლით. იგი სატყეო მეურნეობის ისეთ საპასუხისმგებლო დარგებში მოღვაწეობდა, როგორიცაა: ტყის დაცვა მავნებლებისგან, ტყეებში სანერგეების შექმნა, მოტიტვლებულ ადგილებზე და განსაკუთრებით ტყის ნახანძრალებზე კულტურების დარგვა-გახარება.**

**წაღვერის მაღალი მთის „გვირგვინას“ დიდებული ტყეების არსებობას სწორედ დავით ყარსელიშვილს უნდა ვუმადლოდეთ.**

**სატყეო კულტურის გარდა დ. ყარსელიშვილი მეხილეობითაც იყო დაკავებული და ადგილობრივ გლეხებში ავრცელებდა შესანიშნავ ნერგებს. ეხმარებოდა ბევრ მეცნიერ მუშაკს მეცნიერულ კვლევა-ძიებაში, რაც ხსენებულ რაიონებში წარმოებდა“.**

ცნობილი ქართველი მეტყევე, აკადემიკოსი **ვასილ გულისაშვილი აღნიშნავდა: „მეტყევე დავით ყარსელიშვილი თითქმის 60 წლის მანძილზე (1891 წლიდან) მუშაობდა საქართველოს სატყეო მეურნეობებში. თავისი დაუღალავი, პატიოსანი და საქმისადმი ერთგული დამოკიდებულებით უდიდესი სიკეთე მოუტანა, როგორც სატყეო მეცნიერებას, ასევე საქართველოს სატყეო მეურნეობას. მისი მოღვაწეობა ნაყოფიერი და ამავე დროს მრავალფეროვანია. მის მიერ გაშენებულია 4000 ჰა. ფართობის ტყე, ხეთა ჯიშების თესვისა და დარგვის შედეგად. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კულტურები ბორჯომის რაიონის დამწვარი ტყის ფართობებზე. დღეისათვის მისი კულტურები ჩამოყალიბდა შესანიშნავ ფიჭვნარ ტყედ, რომელიც სასიკეთოდ მოქმედებს კლიმატზე და ამ რაიონის წყლის რეჟიმზე. იგი ხელმძღვანელობდა ტყეთა მოწყობას ბორჯომის და კახეთის რაიონებში და სამხრეთ საქართველოს ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებში.**

საკმაოდ მნიშვნელოვანია მის მიერ გაწეული წვლილი ქართლის (ბორჯომის, წაღვერის) მთიან რეგიონებში მეხილეობის განვითარების საქმეში. მთელი ამ დროის მანძილზე იგი დაუღალავ პროპაგანდას ეწეოდა ხანძრისაგან ტყეთა დაცვის საქმეს...

თავის ნაშრომებში უდიდესი ბოტანიკოსი ი.ს. მედვედევი საკმაოდ ხშირად მიმართავდა დავით ყარსელიშვილს ჰერბარიუმებს და სხვა მასალებს კავკასიის ხეთა ჯიშების საკითხთა სისტემატიზაციის გადაწყვეტის დროს...



ყოველივე ამასთან ერთად მაშინ, როცა საქართველოში არ არსებობდა არცერთი **უმაღლესი სასწავლებელი ყარსელიშვილის ინიციატივითა და აქტიურობით დაარსდა ბაკურიანის ბოტანიკური ბაღი, რომელიც შემდგომში გახდა როგორც ბოტანიკოსების, ისე მეტყევეებისთვის საყრდენი სასწავლო ბაზა. აქ ჩამოდიოდნენ და მეცნიერულ ძიებებს აწარმოებდნენ არა მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის არამედ აშშ-ს, ინგლისის, კანადის, გერმანიის, ჩინეთისა და სხვა ქვეყნების მეტყევე და ბოტანიკოსი მეცნიერები.**

**ალგი ლომიძე**

**ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელი**

**(გაგრძელება იქნება)**

# „ჰუმანური საქართველოს" მასშტაბური ინიციატივა

**ზუსტად** ერთი წლის წინ, მთავრობის, საპატრიარქოს, საქართველოს ათივე რეგიონიდან მოწვეული დელეგაციების მონაწილეობით, თბილისში, საკრებულოს შენობის თამარ მეფის დარბაზში, დაფუძნდა არაპოლიტიკური, არაკომერციული, საზოგადოებრივი მოძრაობა - **„ჰუმანური საქართველო" შალვა ამონაშვილის ხელმძღვანელობით.** იდეის ავტორი თავად ჰუმანური პედაგოგიკის ფუძემდებელი, აკადემიკოსი ბატონი შალვა გახლდათ. „ჰუმანური საქართველოს" წარმომადგენელი სამცხე-ჯავახეთში ბორჯომის №1 საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი **ჯულიეტა ჯინჯოლავა,** ხოლო ბორჯომში, ბორჯომის №6 საჯარო სკოლის დირექტორი **ქეთევან ხაჩიძეა.** ჰუმანური სკოლების პროგრამაში ბორჯომის ?1 საჯარო სკოლა უკვე წარმატებითაა ჩართული. იანვარში საჩუქრად გადაცემულმა **„ბედნიერი დღეების კალენდარმა"** - მადლიერების თვე, ადრესატები სხვა ჰუმანურ ღირებულებებზე დააფიქრა.

ამონაშვილის აკადემიამ სკოლის დირექტორებს შესთავაზა ოთხთვიანი დამხმარე ონლაინ კურსი, რომელშიც გაერთიანდა 35 სკოლა საქართველოს ყველა რეგიონიდან. ამასთან, ასევე ოთხთვიანი დამხმარე ონლაინ კურსი სახელწოდებით **„ამონაშვილის მოწაფეები",** რომელშიც გაერთიანდა 500-მდე მსმენელი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

მოძრაობა „ჰუმანური საქართველო" გადადის აქტიურ ფაზაში. საქართველოს ყველა რეგიონში და ასევე თბილისში ჩამოყალიბდა ჰუმანური ცენტრები და მათ ჰყავთ ლიდერები და საინიციატივო ჯგუფები, ამ ჯგუფებმა შეისწავლეს ჰუმანური პედაგოგიკის საფუძვლები და წლის ბოლომდე უნდა გამოჩნდეს პირველი ჰუმანური სკოლები, კლასები, მშობელთა მოძრაობა, მოზარდთა გაერთიანება.

- ჩვენ სამცხე-ჯავახეთში ვაერთიანებთ მთავრობის წარმომადგენლებს, სკოლის დირექტორებს, მასწავლებლებს, მშობლებს, სამღვდელოებას და ყველა დაინტერესებულ ადამიანს. ბატონმა შალვა ამონაშვილმა, მისმა შვილმა - პაატამ და მეუღლემ - თამარ სხვიტარიძემ საინტერესო შეხვედრები გამართეს ბორჯომის კულტურის სახლში. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივითა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის



სურათზე: (მარცხნიდან) იზოლდა ლომიძე, შალვა ამონაშვილი, №1 და №6 საჯარო სკოლების დირექტორები ჯულიეტა ჯინჯოლავა, ქეთინო ხაჩიძე.

ხელმძღვანელის **იზოლდა ლომიძის** დიდი მხარდაჭერით. „ჰუმანური საქართველოს" ხელმძღვანელმა შალვა ამონაშვილმა ბორჯომელ მოსწავლეებთან, მშობლებთან და პედაგოგებთან ჰუმანურ პედაგოგიკასა მის ძირითად ღირებულებებზე ისაუბრა. საგანმანათლებლო პროექტის „ჰუმანური საქართველოს" მიზანია ბავშვებისთვის აღზრდა-სწავლების პროცესი მეტად სასიამოვნო და საინტერესო გახდეს.

ჰუმანური ადამიანისთვის არ არსებობს ცუდი და კარგი დღეები, არის მხოლოდ ახალი დღე, რომელშიც ვმოქმედებთ და ვცვლით ჩვენს ცხოვრებას ან უკეთესობისკენ ან უარესობისკენ.

ჰუმანური ადამიანი ოპტიმისტია. ის ავადმყოფობას გაძლიერებისთვის იყენებს, შეცდომებს გამარჯვებისთვის, ცრემლებს - სიხარულისთვის, სწავლას - განვითარებისთვის და რწმენას - ბედნიერებისთვის.

- მეც ბატონ შალვასთან ერთად ახალი გამარჯვებულივით ვარ. ალბათ, განგიცდიათ ტკივილის გავლის შემდეგ დიდი ენერგიის მოსვლა, ეს არის ბედნიერების ენერგია, რომ ჩვენ კიდევ ერთი ბედნიერების დღე მოგვცა ღმერთმა, - გვითხრა ქალბატონმა ჯულიეტამ.

- უჰ, რამდენი კარგი საქმე გვაქვს მოსასწრები!

დავიკაპიწოთ მკლავები და შევცვალოთ ჩვენი ცხოვრება ბედნიერებისკენ.

**როგორ?**

**1. მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო და დავალაგოთ და მოვაწესრიგოთ ის ადგილი, სადაც ვცხოვრობთ.**

**2. გადავხედოთ ახლობელ ადამიანებს და სიყვარული დავუმატოთ მათთან ურთიერთობას.**

**3. გადავხედოთ წრეს, სადაც ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, ზრუნვა და ჰუმანურობა დავუმატოთ ჩვენს ურთიერთობებს.**

ბავშვს თავისუფლება უნდა. დააძალებ? - გაგექცევა. სკოლაში მისვლა უნდა უხაროდეს. - ასეთია „ჰუმანური საქართველოს" მთავარი გზავნილები ჩვენდამი.

**რა ემოციას გიტოვებთ, როგორც ხელმძღვანელს, მასწავლებელს ბატონ შალვასთან ყოველი შეხვედრა?**

- სიყვარულით მავსებს... მასწავლის, როგორ მიყვარდეს ყველა და ყველაფერი და ვიცხოვრო სიყვარულში... ეს ადამიანები მზესავით ანათებენ, ათბობენ და აფრქვევენ სიყვარულს, ასე რომ მათთან ურთიერთობის შემდეგ შეუძლებელია ეს მუხტი არ გადმოგედოს.

**შეხვედრები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებას უშუალოდ მოუსმინოს დიდი მნიშვნელობის მქონე ყოველ სიტყვას. როგორ შეუძლია ჩაერთოს მსურველი?**

- სოციალურ ქსელში არის ჰუმანური საქართველოს გვერდი, სადაც არის ბატონი შალვას ვიდეოჩანაწერები, უშუალოდ ლექციებს ამ ეტაპზე მხოლოდ აკადემიის მოსწავლეები ესწრებიან.

**„გიყვარდეს მტერიც და მოყვარეც, რადგან ასეთია უფლის ნება, გიყვარდეს ყველა და ყველაფერი ნაზად, სათუთად, ლამაზად, ერთგულად, გმირულად, თავდავიწყებით" (შალვა ამონაშვილი, „ჰიმნი სიყვარულს") „ძალიან დიდ სულიერ ძალას ითხოვს ეს ყველაფერი, უზარმაზარ შრომას, ნებისყოფას და სულის წრთვნას. თუმცა, მერე შეიგრძნობა ალბათ ნამდვილი ბედნიერება". ჰუმანური საქართველო ბედნიერი მომავლისთვისაა, ბედნიერ მომავალს კი ბედნიერი ბავშვები შექმნიან, ბედნიერი ბავშვები კი ბედნიერმა მასწავლებლებმა უნდა გაზარდონ, რომლებიც სიყვარულით გაუკვალავენ მათი ცხოვრების შეუცნობელ ბილიკებს.**

მოამზადა
**იზა იანვარაშვილმა**

## რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებიდან

# როცა საქმე ბავშვებს ეხება, მეტი ყურადღება გვმართებს...

**მეტად საინტერესო ფაქტის შესახებ ინფორმაციას წავაწყდი სოციალურ ქსელში, რომელსაც ჩვენი გაზეთის მკითხველებსაც ოდნავ შემოკლებული ფორმით გთავაზობთ, თუმცა ვეცდებით, რომ არსებული საკითხის ირგვლივ მთავარი სათქმელი ფურცლებზე მაქსიმალურად გადმოვიტანო:**

„ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" (PHR) ინფორმაციით, თბილისის საქალაქო სასამართლომ სახელმწიფოს ბავშვის მიმართ 15 000 ლარის ოდენობით კომპენსაციის გადახდა დაავალა. საქმე შეეხება საბავშვო ბაღში ბავშვის ცემის ფაქტს, სადაც სახელმწიფომ ეფექტურად არ გამოიძია ბავშვზე ძალადობის შემთხვევა. ორგანიზაციის ცნობით, აღნიშნულ საქმეზე, PHR-ის იურისტებმა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს მიმართეს, რომელმაც დაადგინა, რომ საქართველომ დაარღვია ბავშვის ძალადობისგან დაცვის უფლება, რომელიც გარანტირებულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლით. ,,გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე 26 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ სახელმწიფოს ფულადი კომპენსაციის გაცემა დაავალა" - წერს PHR-ი. „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" ინფორმაციით, 2017 წლის იანვარში საჯარო ბაღში 3,5 წლის გიორგიმ აღმზრდელის დავალება ვერ შეასრულა - სახლი კარგად ვერ დახატა. გაბრაზებულმა აღმზრდელმა გიორგის ხელი სახისა და ყურის არეში დაარტყა. ბავშვს სახეზე დაზიანებების კვალი დაეტყო. გიორგის გამოსაყვანად მისულმა დედამ ბავშვის სახეზე დაზიანებები შეამჩნია და მიზეზი ჰკითხა, რაზეც გიორგიმ უპასუხა, რომ მასწავლებელმა სცემა. მშობელმა პოლიციას მიმართა. გამოძიება მაშინვე დაიწყო. ბავშვმა პოლიციას უამბო რაც მოხდა. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნამ დაადგინა, რომ გიორგის სახეზე დაზიანებები ნამდვილად ჰქონდა, რომელიც მიყენებული იყო ბლაგვი საგნის გამოყენებით. გიორგის დედამ გამოძიებას უთხრა, რომ დილით ბაღში მისულ ბავშვს დაზიანებები არ ჰქონია და ისიც, რომ გიორგის არც ალერგია ჰქონია აქამდე. რამდენიმე თვის განმავლობაში 3,5 წლის გიორგი ელოდებოდა პოლიციისგან პასუხს, თუმცა უშედეგოდ. მშობელმა ბავშვის ინტერესების დასაცავად ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის" 2018 წლის აპრილში მომართა... **აღმზრდელი, რომელზეც გიორგი მიუთითებდა, სამსახურიდან გაათავისუფლეს, თუმცა მისი გათავისუფლების გადაწყვეტილებაში არ მიუთითეს გიორგის მიმართ ძალადობის შესახებ.** ამიტომ სასამართლომ აღმზრდელის გათავისუფლება უკანონოდ ცნო და ის კვლავ ბაღში აღადგინა იმავე პოზიციაზე. გიორგის ადვოკატებმა მტკიცებულებები შეაგროვეს და 2018 წლის ნოემბერში გიორგის უფლებების დასაცავად გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს მიმართეს. **2022 წლის 7 ივნისს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა, რომ**



**საქართველომ დაარღვია გიორგის ძალადობისგან დაცვის უფლება, რომელიც გარანტირებულია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლით.** ვერ იქნა წარდგენილი რაიმე დამაჯერებელი განმარტება ბავშვის ყურებსა და სახეზე არსებული დაზიანებების შესახებ, რომელიც სავარაუდოდ საბავშვო ბაღის მასწავლებლის მიერ ბავშვის საჯარო დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში განხორციელდა.

კომიტეტმა მხედველობაში მიიღო, რომ ბავშვმა დეტალურად და თანმიმდევრულად აღწერა საჯარო ბაღის აღმზრდელის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული მოპყრობა, რაც განმტკიცებული იყო სხვა მტკიცებულებებითაც, მათ შორის ერთ-ერთი ბავშვის ბებიის მონათხრობით, რომ მას ხშირად უნახავს იგივე აღმზრდელი როგორ სჯიდა მის შვილიშვილსაც. ასევე, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნითაც. აღმზრდელის მითითება, რომ ბავშვის სახეზე დაზიანება ალერგიის შედეგი იყო, არ დასტურდებოდა სხვა მტკიცებულებით.

**კომიტეტმა დაადგინა, რომ სახელმწიფომ არ აიღო პასუხისმგებლობა იმის შესახებ, რომ ბავშვმა დაზიანებები საჯარო ბაღში ყოფნის პერიოდში მიიღო, ამიტომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მოექცა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლის ფარგლებში**. სახელმწიფომ უნდა გადადგას ყველა საჭირო ნაბიჯი რომ უზრუნველყოს მსგავსი დარღვევების პრევენცია, განსაკუთრებით სხეულებრივი დასჯის შემთხვევათა სწრაფი და ეფექტური გამოძიება. „აღსანიშნავია, რომ ეს არის გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის პირველი გადაწყვეტილება ბავშვის სხეულებრივ დასჯასთან დაკავშირებით საქართველოს წინააღმდეგ, სადაც კომიტეტმა სახელმწიფოს ბავშვის უფლებების დარღვევა დაუდგინა" - წერს PHR".

მინდა ზემოთ აღნიშნული საკითხის შესახებ ჩემი პირადი მოსაზრება გაგიზიაროთ და მგონია, რომ საკუთარ გამოცდილებაზე უკეთ ვერავინ და ვერაფერი ვერ დაგანახებთ იმ რეალობას, რასაც შეიძლება ცხოვრებაში შევხვდეთ ადამიანები. XXI საუკუნეში საბედნიეროდ არც ერთი ბავშვი არ გადის განვითარების ეტაპებს საბავშვო ბაღისა და სკოლის გარეშე და დღეს როგორც საჯარო, ასევე კერძო ბაღებში უამრავი მაღალკვალიფიციური კადრი მუშაობს, რომელთა შრომაც ნამდვილად დასაფასებელია. ბავშვებს ხშირად უჭირთ ახალ გარემოსთან შეგუება და ამაში პირველ რიგში მშობლები და იქ მომუშავე აღმზრდელები უნდა იყვნენ მაქსიმალურად ჩართულები. პირადად მქონდა შემთხვევა, როდესაც ჩემმა ვაჟმა, რომელიც რამდენიმე თვის მისული იყო ბაღში ერთ დღესაც კატეგორიულად გადაწყვიტა, რომ ბაღში აღარ უნდა ევლო. ერთხელაც არ გამჩენია იმის შიში, მე პირადად, რომ მას იქ ვინმე ცუდად მოექცა, რადგანაც ერთი და იგივე ჯგუფში სწავლობდნენ და-ძმა და ყველანაირი შიში და ვარაუდები უსაფუძვლო იქნებოდა ჩემი მხრიდან. ამიტომაც, როდესაც პედაგოგები შეეცადნენ, რომ დაემშვიდებინათ და ყველანაირი გზა სცადეს, მივიღეთ ერთობლივად გადაწყვეტილება, რომ ცოტა ხანი ბაღში აღარ ევლო. ასეც მოვიქეცით, რადგანაც როგორც ჩანს, დილით ადრე გაღვიძებამ და ახალმა გარემომ მასზე იმოქმედა, თუმცა როდესაც რამდენიმე დღეში ნახა რომ თავისი და ყოველ დღე ბაღში ისევ დადიოდა და ასევე მისი მეგობრებიც, მას სხვა გზა არ ჰქონდა, მიხვდა, რომ უნდა ევლო. ამიტომაც მომდევნო კვირიდან უპრობლემოდ განაგრძო ბაღში სიარული. რაც შეეხება ბაღის ცხოვრებაში ჩართულობას, საგანმანათლებლო კუთხით, გეტყვით იმასაც, რომ ყველა ბავშვი ერთნაირად არ ვითარდება და ყველას განსხვავებული შესაძლებლობები აქვს. ზემოთ აღნიშნული ფაქტიდან გამომდინარე კი მინდა ისევ საკუთარი შვილის მაგალითზე გიამბოთ და გითხრათ, რომ ასევე ჩემი ვაჟი ვერც საბავშვო ბაღში და ვერც სკოლაში ვერ გამოირჩეოდა და გამოირჩევა ხატვისათვის საჭირო შესაძლებლოებებით და მიუხედავად იმისა, რომ გოგონები შესანიშნავად ხატავენ და პირადად მეც ხატვასთან და ხელოვნებასთან საკმაოდ მჭიდრო კავშირი მაქვს. ერთხელ მახსოვს, პედაგოგმა ღიმილით მითხრა, რომ კიდევაც მიკვირს, თქვენ როგორ ხატავთ და თქვენ შვილს არც უყვარს, არც ცდილობს და რა თქმა უნდა, არც გამოსდისო. მე პირადად ხშირად ვესწრები ბავშვთა ფსიქოლოგიის შესახებ შეხვედრებს, სხვადასხვა კურსებიც გავიარე და ზუსტად ვიცი, რომ იმას, რასაც აძალებ ბავშვს, უფრო მეტად უჩნდება პროტესტის გრძნობა. ჩვენ პედაგოგსაც, რა თქმა უნდა, გადაჭრით არ მოუთხოვია რომ მას უნდა დაეხატა ხელოვნების გაკვეთილზე და ეს სწორი მიდგომაა მისი მხრიდან. მინდა კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს შევეხო და აუცილებლად აღვნიშნო, განათლების სამინისტროს მხრიდან წლების მანძილზე დანერგილი და უკვე გამოცდილი და ადაპტირებული სპეცმასწავლებლების საჭიროების პროგრამა სკოლებში და აღნიშნული მიმართულებით გადამზადებული უამრავი პედაგოგი, რომლებიც საქართველოს ყველა საჯარო თუ კერძო სკოლებში ასწავლიან. არსებობს მთელი რიგი დაავადებები ბავშვთა ასაკში, რა დროსაც ჩვეულებრივი დაწყებითი კლასისა თუ რიგითი საგნის პედაგოგი ვერაფერს გახდება და სწორედ საჭიროების შემთხვევაში ხდება ასეთ ბავშვებთან სპეციალური მასწავლებლების ჩართულობა. ზემოთ აღნიშნული საკითხის ირგვლივაც რომ ერთგვარი შეჯამება მოვახდინოთ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ თითოეულმა პედაგოგმა უნდა გაითავისოს პირველი და მნიშვნელოვანი ის, რომ ყველა ბავშვი ინდივიდუალურია, თითოეულ მათგანს საკუთარი შესაძლებლობები და ინტერესები აქვთ და ყველა მათგანს ოჯახში არ აქვს ერთნაირი მდგომარეობა და ცხოვრების პირობები. ამიტომაც არის საჭირო ჯერ პედაგოგების მომზადება და მზაობა ნებისმიერ სიტუაციაში საჭიროებისამებრ შესაბამისი რეაგირებისთვის და რა თქმა უნდა, სახელმწიფოს მხრიდან კიდევ მეტი თანდგომა სჭირდება ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს ასაკის და მიუხედავად, რადგანაც აქ მათ თავი უსაფრთხოდ უნდა იგრძნომ და არა ისე, რომ ისინი თავს საფთხის წინაშე გრძნობდნენ, სადაც მათი სიმართლე არავის ანაღვლებს. ამიტომაც ამ კუთხით კიდევ მეტი მუშაობაა საჭირო, რისი იმედიც პირადად მაქვს და საბედნიეროდ რეგიონებში არსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე პედაგოგებს უფრო მეტ პასუხისმგებლობასა და მოვალეობებს აკისრებს, რასაც მე ვიტყოდი პირნათლად ასრულებენ კიდეც და ამაზე მეტყველებს კიდეც უამრავი კვალიფიციური კადრი, რომელთა რიცხვიც დღითიდღე იმატებს და მშობლების ნდობაც და ცნობადობის ამაღლებაც გაზრდილია ბავშვების შესაძლებლობებისა თუ მათი საჭიროებების კუთხით.

**ნატო მელიქიძე**



# ვულოცავთ!

ჩვენს ერთგულ მეგობარს, სიყვარულით სავსეს, ლამაზი და შინაარსიანი ოჯახის უფროსს, **თამაზ ხუციშვილს** ვულოცავთ დაბადების 84 წლისთავს.

ვუსურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ღვთის წყალობას და ულევ სიხარულს მეუღლესთან, ქალბატონ მარიკა გელაშვილთან, შვილებთან, შვილიშვილებთან, შვილთაშვილებთან და მეგობრებთან ერთად.

მრავალჟამიერ თქვენს სიცოცხლეს, ბატონო თამაზ!

**„ფანტანის“ სამეგობრო.**

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას!

## ვირუსები ისევ გვიტევს

**ბოლო პერიოდია უამრავი ადამიანი ავადობს სხვადასხვა სახის სეზონური ვირუსებით. მაღალი ტემპერატურა, თავის, მუცლის ტკივილი, ენტერო ვირუსისათვის დამახასიათებელი კიდევ უამრავი თანმდევი სიმპტომი ახლავს აღნიშნულ ვირუსებს. ალბათ, ოჯახი არ დარჩენილა რომელთა წევრებსაც აღნიშნული ვირუსები არ გადაეტანოთ. სახელმწიფო ყოველწლიურად სთავაზობს მოქალაქეებს სეზონური გრიპის ვაქცინაციას და ვაქცინირებულთა რიცხვიც აღნიშნული ვაქცინით არც თუ ისე მცირეა და მითუმეტეს ვაქცინაციას ხშირად ადამიანები იმ შემთხვევაში კიდევ უფრო ხშირად მიმართავენ, რომელთა ოჯახის წევრებსაც სხვადასხვა სახის ქრონიკული დაავადებები და დაქვეითებული იმუნიტეტი აქვთ და დაავადებების შეხვედრის რისკი უფრო დიდია. თუმცა რეალობაა, რომ ერთია, როდესაც აღნიშნული ვირუსი ხვდება ადამიანს და მეორეა ის ფაქტი, რომ ვირუსთან საბრძოლველად მედიკამენტოზური მკურნალობა ხდება საჭირო და დამეთანხმებით, რომ მედიკამენტების შეძენა ძალიან დიდ თანხებს უკავშირდება. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გამოკითხვა ჩავატარეთ და მოსახლეობის აზრი მოვისმინეთ, ის მოქალაქეები გამოვკითხეთ ვინც ვაქცინირებულია და რამდენად მარტივად გადაიტანეს მათ ვირუსი იმათთან შედარებით, ვისაც არასდროს გაუკეთებია ვაქცინა და ასევე დავინტერესდით, საშუალოდ რა თანხა დაუჯდათ მათ მედიკამენტებით მკურნალობა:**

**ნინა კაპანაძე:** – საშინელი ვირუსი გადავიტანეთ მთელმა ოჯახმა, ისეთი კოვიდის დროსაც რომ არ შეგვხვედრია. ბავშვებმა მოიტანეს სკოლიდან როგორც ჩანს და მერე მთელ ოჯახს შეგვხვდა. არც დაზღვევა გვაქვს, არც არანაირი შეღავათი. 7 სულიანი ოჯახიდან მედიკამენტებში ლამის 200 ლარი დავხარჯეთ. ესეც ცოტაა. ძალიან რთულ ფორმაში არ იყო, მთლად შორს წასული და ალბათ კიდევ მეტი ამიტომ არ დაგვიჯდა.

**შოთა ბერიძე:** – ქრონიკული დაავადების მატარებელი ვარ და მეშინოდა, არ შემხვედროდა ვირუსი, მაგრამ ვერ დავიცავი თავი, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში



სულ პირბადით დავდიოდი, ტრანსპორტშიც და ქუჩაშიც. მხოლოდ პენსია მაქვს და არანაირი დაზღვევა. 100 ლარის ფარგლებში დამიჯდა მკურნალობა. სხვებს უფრო მეტი დაუჯდათ. მაგრამ პენსიონერისთვის 100 ლარიც საკმაოდ ბევრია, როდესაც გარშემო ყველაფერი გაძვირებულია.

**მაკა ქამხაძე:** – ვაქცინა გაკეთებულ მაქვს ყოველ წელს ვიკეთებ, თუმცა როგორც ამბობენ, ახლა ე.წ. ღორის გრიპი ცირკულირებდა საკმაოდ რთული ფორმით და მძიმედ გადავიტანე. როგორც ჩანს, ვაქცინამ არ იმოქმედა. ალბათ დაქვეითებული იმუნიტეტის ბრალი უფროა, ვინაიდან ბოლო პერიოდში რამდენჯერმე შემხვდა რამდენიმე დღიანი დაბალი სიცხით, სურდოთი. აი, ბოლოს იყო, რაც იყო, საშინელი სახსრების ტკივილი მქონდა, ტემპერატურა 38-ზე ქვემოთ არ ჩამოდიოდა.

**მამუკა ცარციძე:** – ჩემი ახლობელი საავადმყოფოშიც კი მოხვდა, ისე რთულად იყო ავად. იმდენად შევშინდი, რომ თუკი რაიმე სახის იმუნიტეტის გამაძლიერებელი არსებობდა, ყველაფერი მივიღე ერთდროულად, ვიტამინების კომპლექსიც. რა თქმა უნდა, ბუნებრივი საშუალებებიდან თაფლი და ლიმონი იყო და არის ჩვენი ყოველდღიური მოხმარების პროდუქტები. ვაქცინაც გაკეთებული მაქვს გრიპის საწინააღმდეგო და ალბათ, მაგის დამსახურებაცაა, რომ ავად არ გავხდი, თუმცა ზემოთ აღნიშნული მედიკამენტები არც თუ ისე ცოტა დაჯდა.

**ელისო კუპრაძე:** – აცრილი არ ვარ და ისე რთულად შემხვდა, რომ ასეთი რამ ჯერ არ მახსოვს. მაღალი ტემპერატურა, ხველა, ფილტვების ანთება. ანტიბიოტიკებით მკურნალობა დამჭირდა. ძალიან გამირთულდა. ალბათ 250 ლარამდე დამიჯდა მკურნალობა. მოგიწოდებთ, ისევ გამოიყენეთ პირბადე და გაუფრთხილდით ერთმანეთის ჯანმრთელობას.

**ნატო მელიქიძე**

წიგნის განხილვა

## გზასაცდენილები

**ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, №3 საჯარო სკოლაში ჯაბა ქვლივიძის ნოველა „გზასაცდენილები“ განიხილა.**

დიდი სითბოთი და სიყვარულით შეხვდნენ ბიბლიოთეკის თანამშრომლებს როგორც პედაგოგები, ასევე მოსწავლეები. გაეცნენ მოკლე შინაარსს. ნოველაში მოთხრობილია ორი მეგობრის ამბავი, ერთს უზრუნველი ცხოვრება ჰქონდა, მეორეს მამა ჰყავდა გარდაცვლილი, ხოლო დედა საზღვარგარეთ წასული. გიგი პატარა დედმამიშვილებზე ზრუნავდა, რომლებიც უდედობას განიცდიდნენ. ერთხელ გიგიმ უთხრა შაკოს - სიგარეტს ნუ მოწევ, „მამაშენს არ გაეხარდებოდა“. შაკო ასრულებდა გიგის თხოვნას, მაგრამ ქუჩის ბიჭებმა გიგი დაიამხანაგეს, ჯერ ფული თხოვეს ლუდისთვის, მერე დაალევინეს, შემდეგ მოაწევინეს. გიგის კიდეც მოსწონდა მათი ცხოვრება, უბანში ყველა პატივს სცემდა, გოგონებიც კი. განათლებულებიც მოეჩვენა „ვეფხისტყაოსნიდან“ რამდენიმე ნაწყვეტიც კი წაუკითხეს. შაკო ვეღარ აქცევდა გიგის ყურადღებას, რადგან პატარა დაიკო ავად გაუხდა და მასზე ზრუნავდა.

ძალით მკლავიც გაუკავეს, ნემსიც კი გაუკეთეს, თავიდან



ნარკოტიკით გაბრუებულს ლამაზი მოეჩვენა გარესამყარო. როდესაც მეგობარმა გაიგო გიგის ამბავი, უკვე გვიან იყო. სახლში მყოფი გიგი, რომელსაც გული აწუხებდა, გარდაიცვალა.

ბავშვებში იყო მსჯელობა, კამათი, თუ ვის უნდა ენდო გასაჭირის ჟამს. როგორი პიროვნება იყო შაკო, ერთი თქვა, არ მოვწევ და სიტყვას ასრულებდა. მიუხედავად იმისა, მას ყველაფერი აკლდა, ხოლო გიგი უზრუნველად მშობლების გარემოცვაში იზრდებოდა, არაფერი აკლდა, მაგრამ მას ნებისყოფა არ გააჩნდა და ადვილად მოექცა სხვათა ზეგავლენის ქვეშ.

ვისაუბრეთ, რომ ადამიანი ღვთის ქმნილებაა, ღვთის ტაძარი არ უნდა დავაზიანოთ, ღვთის წინააღმდეგ არ უნდა წავიდეთ. ვის უნდა დაუჯერო და სთხოვო დახმარება. ყველაზე ნათელ და წმინდა აზრს მაინც მშობელი მოგვაწოდებს, ვის რჩევით შეიძლება გადაწყდეს და რომ წმინდა აზრი მაინც მშობელს და მეგობარს ეკუთვნის, ნდობის ფაქტორი უფრო დიდია.

იმდენად დიდი იყო დაინტერესება, ამ თემის მიმართ, რომ გვთხოვეს, სხვა კლასთანაც ჩაგვეტარებინა ამდაგვარი ღონისძიება.

მადლობა ბავშვებს, დირექტორს, პედაგოგებს, ჩვენი ბიბლიოთეკის თანამშრომლები გახარებულები წამოვედით, ისეთ საკითხებზე რომელიც საჭირო და აუცილებელია დღეს ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის, რათა ჯანსაღი სულის და სხეულის აღიზარდონ და ემსახურონ სამშობლოს, ოჯახს ღირსეულად.

**ნანული სალაღაია,**
**ბიბლიოთეკების ღონისძიებების ორგანიზატორი**

**ბორჯომის ავტოსადგურის კოლექტივი და მიკროავტობუსების მძღოლები თანაგრძნობას უცხადებენ ავტოსადგურის ღვაწლმოსილ და უხუცეს ყოფილ თანამშრომელს თამაზ ბარათაშვილს შვილის სოსოს გარდაცვალების გამო.**

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი. რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „კაარში“. თბილისი, თევდორე მღვდლის №57.
borjomi@inbox.ru
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

სათხილამურო სპორტი

## წარმატებით დასრულებული ტურნირი





დავით თედიაშვილი

**ბაკურიანში** დასრულდა სკი კროსის მსოფლიო თასის გათამაშების ეტაპი, რომელიც სამი დღის განმავლობაში დიდველის სათხილამურო არეალში, სკი კროსის ტრასაზე მიმდინარეობდა. ასპარეზობაში 12 ქვეყნის 60 ათლეტი ასპარეზობდა. საკვალიფიკაციო დაშვებაში მონაწილეობდა ქართველი ათლეტი დავით თედიაშვილი, რომელმაც სამწუხაროდ კვალიფიკაცია ვერ გაიარა.

— მსოფლიო თასის ეტაპები ძალიან სერიოზული გამოცდილებაა, - ამბობს დავით თედიაშვილი, - გარდა იმისა, რომ აქ უძლიერესი მოთხილამურეები ერკინებიან ერთმანეთს, რომელთა უმრავლესობა ოლიმპიური მედალოსნები არიან და კონკურენცია ძალიან მაღალია, ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტრასის ყოველი მონაკვეთისა და ვირაჟის ზუსტ გავლას. საკვალიფიკაციო დაშვებები გახსნეს ქართველმა მოთხილამურეებმა ლაშა კურტანიძემ და ბექა ბერძენიშვილმა.

იდეალურ, მზიან ამინდში და უნაკლოდ გამზადებულ ტრასაზე უპრეცედენტო და სანახაობრივად საუცხოო ბრძოლა გაიმართა კანადელ, შვედ, იტალიელ, შვეიცარიელ, ფრანგ და გერმანელ ათლეტებს შორის. გულშემატკივრებს დაუვიწყარი ემოციები აჩუქეს ბაკურიანში ჩამოსულმა მოთხილამურეებმა და თავიანთ მედლებს ამ მსოფლიო თასის ჯილდოებიც შემატეს.

- მესამედ ვარ ბაკურიანში, ყველაფერი იდეალურადაა, მზე, სათხილამურო ტრასები, კეთილგანწყობილი ხალხი. ბედნიერი ვარ ჩემი გამარჯვებით, — განაცხადა ორივე საასპარეზო დღის გამარჯვებულმა, კანადელმა მარიელ ტომპსონმა.

- უმაღლეს დონეზე ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი ბაკურიანში,შესანიშნავად იმუშავა საორგანიზაციო ჯგუფმა. დაცული იყო უსაფრთხოების ზომები. ეს ერთ-ერთი საუკეთესო ტურნირი იყო, რაც ამ სეზონზე გვქონდა, — თქვა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის შეჯიბრის დირექტორმა **კლაუს ვალდნერმა**.

ბაკურიანში გამართული შეჯიბრს საერთაშორისო მედია აშუქებდა, პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა „ევროსპორტის“ არხზე.

ბაკურიანში ბოლო წლებში მაღალ დონეზე ჩატარებულმა სათხილამურო ტურნირებმა განაპირობა საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ყურადღება საქართველოსადმი. ამიტომ ბაკურიანი და გუდაური საერთაშორისო ტურნირების ყოველწლიურ კალენდარში მოხვდა.

მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპი ბაკურიანში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „მთის ტრასების სააგენტოსა“ (M.T.A.) და სათხილამურო ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა, ხოლო შეჯიბრის სპონსორი კომპანიები გახლდნენ „ბორჯომი“, თიბისი, „რედკო“ და „სილკნეტი“.

**რუსუდან სხირტლაძე**

## ბაკურიანში ბიათლონის ტრასა აშენდება

**ბაკურიანში** ბიატლონის ტრასა აშენდება. აღნიშნულთან დაკავშირებით ტენდერი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა გამოაცხადა.

ფონდმა ბაკურიანში ბიატლონისა და თხილამურებით რბოლის ტრასების და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების შესყიდვისთვის ტენდერი პირველ თებერვალს გამოაცხადა. ტენდერში განცხადებების მიღება 28 თებერვალს დაიწყება და 4 მარტს დასრულდება. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება კი 16620 მლნ ლარია (დღგ-ს ჩათვლით).

ბაკურიანში ბიატლონის ტრასის, სასროლეთის, ხელოვნური ნაგებობების, ელექტრო მომარაგებისა და ხელოვნური გათოვლიანების მანქანებისთვის წყალმომარაგების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია „გლობალ პროჯექთის“ მიერ არის მომზადებული.

## 14 წელი ვანკუვერის ტრაგედიიდან

**ვანკუვერის 2010 წლის ზამთრის XXI ოლიმპიური თამაშები საქართველოსთვის ტრაგიკულად დაიწყო. მომხდარმა ტრაგედიამ შეძრა მთელი მსოფლიო. თამაშების გახსნის ოფიციალური ცერემონიის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე, 12 თებერვალს უისტლერის საციგაო ტრასაზე საცდელი დაშვებისას ქართველი მოციგავე ნოდარ ქუმარიტაშვილი ფატალურ შემთხვევას ემსხვერპლა.**

**საქართველოს ოლიმპიური გუნდის გამორჩეულ და საოცარი პერსპექტივის მქონე სპორტსმენს ნამდვილად დიდი**



**მომავალი ექნებოდა, რომ არა ეს საბედისწერო შემთხვევა.**

**ნოდარ ქუმარიტაშვილის სახელის უკვდავსაყოფად და მისი ხსოვნისადმი პატივის მისაგებად საქართველო და საერთაშორისო ოლიმპიური მოძრაობა მუდამ ერთსულოვანი იქნება.**